№ 110 მაისი 29, სამშაბათი 1890 მაისი 29, სამშაბათი № 110

| გაზეთი ღირს | | | |
|---|---|---|---|
| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

# ივერია

გაზეთის დასაგვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას კუკიაში, ავჭალის ქუჩა, თ. ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკის სახლებში. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელიარიას სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში სასახლის ქუჩაზე.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1890 სპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1890


## Отъ конторы редакціи

Всѣ объявленія, происходящія извнѣ Кавказской Области, принимаются исключительно въ центральной конторѣ объявленій бывш. Л. Метцль, въ Москвѣ, на Мясницкой, домъ Спиридонова.

„წერა-კითხვის საზოგადოების“ წიგნის მაღაზიას მოუვიდა მესამე და უკანასკნელი ნაწილი:

ქართული-რუსული

ლექსიკონი

დ. ჩუბინაშვილისა

ფასი 2 მან.

სრული ლექსიკონი, ე. ი. სამივე ნაწილი ერთად ღირს 8 მან.

გამოვიდა და იყიდება

მხოლოდ

ახლად დაარსებულ

«ქართველთა ამხანაგობის»

წიგნის მაღაზიაში

(ლორის მელიქოვის ქუჩა)

დაბადება და აღზრდა

მეფე ერეკლესი

ლეგენდა ლექსად გაჩანასი

ფასი 15 კაპ.

(6—1)

განცხადება

ქართველთა ამხანაგობა წიგნების გამოცემისა.

(იხილე მე-4 გვერდზედ)


## ახალი ამბავი

*** კვირას, 27 მაისს, სახელგანთქმულმა მთელს ევროპაში არტისტმა როსიმ წარმოადგინა თავად აზნაურთა ბანკის თეატრში „მეფე ლირი“ შექსპირისა. ამავე დღეს რუსეთში გამოჩენილ არტისტ-ქალის სავინას ბენეფისი იყო და მთელი საზაფხულო სახელმწიფო თეატრი აივსო, მაგრამ ამ გარემოებამ არ დაუშალა ტფილისის საზოგადოებას აევსო მთელი ბანკის თეატრიცა. თუმცა ფასები ადგილებისა ერთი-ორად გაეხადნათ, მაგრამ მაინც თეატრში ტევა არ იყო. არამც თუ ლოჟები, სკამები პარტერში იყო გაჭედილი მაყურებლებითა, არამედ სხვა მრავალი მიდგმული სკამებიც პარტერის აქედ-იქით და იქ, სადაც მემუსიკენი სხდებიან ხოლმე. ევრედ წოდებული „ქანდარაც“-კი (რაიოკი) ძლივს იტევდა ხალხსა.

„მეფე ლირი“ ერთი უმთავრესი და უკეთესი როლია ბ-ნ როსის რეპერტუარშიო, ამბობენ კრიტიკოსები, და თვით არა ნაკლებ სახელოვანს არტისტს სალვინის უთქვამს თურმე, რომ „მეფე ლირის“ წარმოდგენაში პირველობა და უპირატესობა ბ-ნ როსის უნდა დაეულოცოთ ყველამაო. მართლა რომ კარგი რამ იყო ბ-ნი როსი კვირა დღეს მეფე ლირში. საზოგადოება აღტაცებული დარჩა. მშვენიერად მოუვიდა წყევლა უფროსის ქალისა გონერილასი. ყველა მშვენიერებაზე უმშვენიერესად გაატარა ის ადგილი, როცა უფროსის ქალისაგან გულნატკენი ლირი შესჩივის მეორე ქალს რეგანას—რა უღიერად და უმადურად მომექცა შენი და გონერილაო. ვერ წარმოიდგენს კაცი რა საოცრებით გადადიოდა ხოლმე როსი წყრომის ელვა-ჭექისაგან როცა იგონებდა უფროსის ქალის ქცევას, იმ სილბოსა და სიტკბოზე, როცა რეგანა ეუბნებოდა, — „არა, რეგანავ, შენ იმისთანა არა ხარო“. მეტისმეტად კარგი რამ იყო ბ-ნი როსი, როცა უფროს ქალის უმადურობისაგან ყელში სისხლ-მოსული იკავებს რისხვასა და წყრომასა და თითქმის გულ-ამოჯდომით ეუბნება, შენდობასავით, ღმერთმა მშვიდობა მოგცეს, მე შენს თავზე არ მოვიწვევ რისხვას ღვთისას, რომ მოხუცებულს მამას ესე მოეპყარიო. ხოლო კალმით აუწერელი და უნახავადაც დაუჯერებელი იგი სცენა, როცა ლირი, შემდეგ ჭკუისაგან შეშლისა, იღვიძებს კარავში, გონზე მოდის და ცნობილობს მის მიერ უსამართლოდ განდევნილს და დაწყევლილს უმცროსს ქალს კორდელიას და მის მიერვე დასჯილს ერთგულს კენტსა. როცა როსი წამოდგა ფეხზე საწოლიდამ, მივიდა კორდელიასთან და მოწიწებით მუხლზე დაეშვა თავის უმცროს ქალის წინაშე და შენდობა სთხოვა, უსამართლოდ მოგექეციო, ეს სცენა ისეთის უაღრესის ცოდნით, ოსტატობით და გრძნობით გაატარა, რომ არა გვგონია მომეტებული ხელოვნება-ღა შესაძლისი იყოს ადამიანისაგან. ბევრს მაყურებელს, თუ არა ყველას, ამ სცენის დანახვაზე გული ამოუჯდა და ბევრმა გულ-ამოჯდომისაგან ყურება ველარ შესძლო, ვერ აიტანა. კალამი ულონოა, სიტყვა ადამიანისა უქმია წარმოსთქვას ის „ქებათა-ქება“, რომელიც ღირსეულად ეკუთვნის ბ-ნ როსის. ვისაც როსი არ უნახავს „მეფე ლირში“, ის ნუ იტყვის, რომ ხელოვნება მინახავსო: ის გონებითაც ვერ მისწვდება რა შესძლებია ჭეშმარიტს ხელოვნებასა და ღვთისაგან მიმადლებულს და სწავლისაგან გაბრწყინვალებულს არტისტსა. ერთის სიტყვით ბ-ნმა როსიმ გვაჩვენა და თვალ-წინ გაგვიტარა ცხოვლად და ნამდვილად მეფე ლირი—ის უცნაური და ჰოარაობით და აკარგიანობით სავსე კაცი მთელის მისის უხიაკობით, მთელის მისის მეტ-ნაკლებობით. გვაჩვენა იმისი საშინელი რისხვა, წყევლა-კრულვა, უაღრესის გრძნობის ჭექა-ქუხილი, მეფური თვით-ნებობა და მოუდრეკელობა და ამასთანავე მისი კაცური-კაცობა, მისი ადამიანური გულმტკივნეულობა, მისი ჭეშმარიტი გულ-ლბილობა, დატკბობა, სიყვარული, ალერსიანი სიტყვა იქ, სადაც გულისძვრა ლირისა მოითხოვდა.

ბ-ნ როსის ხელოვნებისაგან გაოცებულნი მაყურებელნი დიდის ყოფით და ამბით დახვდნენ სახელოვან არტისტსა, ტაშისა და ბრავოს ძახილს დასასრული არა ჰქონდა. ბოლოს, როცა წარმოდგენა გათავდა და ბ-ნი როსი ხელახლა გამოწვეულ იქმნა, ბ-ნი ფორკატი თან გამოიყვანა სცენაზე და ნიშნად მადლობისა ხელი მისცა.

*** კვირას, ამ თვეის 27 ს, საღამოს შვიდ საათზე, ჩამობრძანდა ტფილისს მის უდიდებულესობის ნასრედდინ სპარსეთის შაჰის პირველი სამოცთა შორის მეუღლე ემინ აგდასი. მაჰმადიანები ამ დღეს დღესასწაულობდნენ და საღამოს ექვს საათზე ათასზე მეტი სპარსეთის ქვეშევრდომნი სამხედრო მუსიკით, ზურნით და ბაირაღებით სპარსეთის საელჩოსთან მოგროვდნენ, ხოლო მრავალი მდიდარი მაჰმადიანი და სპარსეთის საელჩოში მსახური ეტლებით დიღმის მინდორზე გაეიდნენ მისაგებებლად. აგერ კავკავის გზაზე ეტლებიც გამოჩნდა. წინ ცხენით მოჰქროლავდა პოლიციის ბოქაული ბ-ნი სვიმონოვი, მის შემ-

## ფელეტონი

### მეფე ერეკლე

(საზოგადო მიმოხილვა)

უბედურება საქართველოს იმ დღიდგან დაატყდა თავს, რა დღესაც იგი განაწილდა რამდენსამე სამეფოდ. ისეც ერთი მუჭა ხალხი, ბაგრატებისა და თამარ დედოფლისაგან შეერთებულ-გაძლიერებული, იმის მაგიერ, რომ უფრო შემჭიდროებულიყო და ღონესა და ჭირს ერთად გასძლოლოდა, გაიყო რამდენსამე დამოუკიდებელ ბანაკად. თავდა-პირველად თვით თამარ დედოფალი შეიქმნა მიზეზად ქართველთ განაწილებისა მით, რომ ახალციხის მხარეს განუჩინა ათაბაგი. შემდეგ ეს სენი განაწილებისა და ცალკეობისა იმერეთში შეიტანა იმავე დედოფლის შვილის-შვილ ნარინ დავითმა. მართალია, გიორგი ბრწყინვალემ თავის სიცოცხლეში დროებით ამოაგდო ეს სენი, მაგრამ მაინც ამით საქმეს არა ეშველა-რა. მე-XV საუკუნეში საქართველო სრულიად გაიყო სამ დამოუკიდებელ სამეფოდ და ხუთ სამთავროდ. 1462 წელს იმერეთის ერისთავი ბაგრატი განუდგა საქართველოს მეფეს და ქუთაისში ეკურთხა მეფედ. 1469 წელს ბოდბეში მეფედ კახეთისა ეკურთხა დავით. კახეთი, ქართლი და იმერეთი შეიქმნენ სამეფოებად. ამასთანავე ცალ-ცალკე განდგნენ: სამცხე-საათაბაგო, სამეგრელო, აფხაზეთი, გურია და სვანეთი. ყვე-ლამ განმარტოებით ცხოვრება ირჩია. დაავიწყდათ ქართველებს ბრძნული თქმულება, რომ „თითოეული ყველასათვის უნდა იყოს და ყველანი თითოეულისათვისაო“. მტრებსაც ეს უნდოდათ. მოსდგნენ განაწილებულ ბანაკებს ცალ-ცალკე და ჯერ ერთი დაიმორჩილეს, მერე მეორე, მერე მესამე და ასრე ნელ-ნელა მთელი საქართველო მონებაში ჩავარდა. მტრები ხომ მტრები იყვნენ, იმათ საქართველოს კეთილდღეობა არას დროს არა ჰსურვებიათ; მუდამ იმას სცდილობდნენ, რომ როგორმე დაემხოთ ეს პატარა სამეფო და ხელში ჩაეგდოთ ბევრ-გვარად მათთვის ხელ-საყრელი ქვეყანა. ამიტომაც იგინი დღეყოველ გვესხმოდნენ თავს, გვიოხრებდნენ ქვეყანას, ჰმუსრავდნენ მამა-პაპათა მიერ შეძენილ კულტურას. მტერის წესიც ეს არის, რომ მტერს უმტროს. მაგრამ რაღა უნდა ვსთქვათ თვით ჩვენსავე ერთ-სისხლ და ერთ-ხორც მეთაურ და წინაკაცებად ცნობილ მოძმეებზე, როდესაც იგინი ერთმანეთს აღარ ინდობდნენ, ურთი-ერთს თავპირს ამტვრევდნენ, ჰკიშპობდნენ, ჩხუბობდნენ, არბევდნენ, აოხრებდნენ ქვეყანას და მოძმისავე სისხლს ანთხევდნენ, მეზობელ ღვიძლ ხალხის ქვეყანას სისხლის წვიმას აწვიმებდნენ. სამთავე სამეფოების მეფენი მარად ჟამ ებრძვიან ერთმანეთსა ანუ მთავრებს, მთავრები მეფეებს. დაუნდობლად ქლეტენ, ჰკლავენ, თვალებს სთხრიან ერთმანეთს; ღალატი, შური, მეფე-მთავრების დატყვევება, დაბა-სოფლების გადაბუგ-გადაწვა, ხალხის დაწიოკება, მამა-კაცთ, დედა-კაცთა და ქალ-ვაჟთა ტყვედ გაყიდვა და სხვა-და-სხვა ბოროტება შეიქმნა ქვეყნის მმართველების ხელობად. იმერეთის სამეფოს ოც-და-ათ მეფეთაგან შვიდი წამებით აღესრულნენ, სამს თვალები დასთხარეს, 20 ჩამოაგდეს ტახტიდგან. ხალხი ზნეობით დაეცა, დასუსტდა. იმერეთი ამ მხრივ უფრო უკიდურეს ყოფაში ჩავარდა. საკუთარ შვილებსა და ცოლებსაც-კი აღარ ინდობდნენ. სხვის ცოლებს იტაცებდნენ. ტყვეთა სყიდვა და გასყიდვა იმერეთის თავად-აზნაურობის საყვარელ ხელობად გადაიქცა. ქართლის ცხოვრების გარდა, ამ გარემოებას ამოწმებს მაშინდელ დროის მოგზაური შარდენიც. იგი ამბობს, რომ 30 წლის წინად სამეგრელოში 80,000 სული მკვიდრი იყოვო, ხოლო დღეს 20,000-ზედაც მეტი აღარ არისო, რადგან აქაური აზნაურები ტყვეებს ჰყიდიანო. ყოველ წლივ აქედგან 12,000-მდე ტყვე იყიდებაო. თეიმურაზ მეფე ამბობს, რომ დადიანი ყოველ წლივ 10,000—15,000 ტყვეს ჰყიდისო, ხოლო გურიის მთავარ-ეპისკოპოსი 10,000—12,000 ყრმასაო. კახეთის მეფე აგრეთვე სპარსეთის ხელმწიფეს იმითი იმეგობრებს, რომ ყრმებსა და ყმაწვილ ქალებს უგზავნისო.

სავალალოა ეს ხანა საქართველოს ისტორიისა და შავითა და ბნელით მოცული.

ასე რომ სჯიჯგნიან ერთმანეთს ეს ბანაკები, გარეშე საერთო მტრები, რასაკვირველია, სულ ავიწყდებათ. სპარსეთი და ოსმალეთი ხომ ქართველების ძველი მტრები იყვნენ. ახლა ამათ მიემატნენ ლეკნიც. ქართველების კინკლაობისაგამო, ლეკნი, უყურადღებოდ დარჩომილნი, გაძლიერდნენ და საშიშარნი შეიქმნენ არა ნაკლებ სპარს-ოსმალთა. ეს სამივე მტერი ან თვითონაც ერევიან ქართველთ ძმათა შუღლში, ან განზე დგანან და უსისინებენ ძმებს ერთმანეთზე, რომ-რა არის, ადვილად და თავ შეუწუხებლივ, ვითა დაქანცულნი და დასუსტებულნი ურთიერთის ბრძოლით მამლაყინწანი,— ხელში იგდონ. მართალია, ამასობაში სპარსთა და ოსმალთ ურთიერთ შორის აქეთ ცილობა შესახებ საქართველოს მისაკუთრებისა, მაგრამ თვით ამ ცილობაშიაც იღვრება ქართველთავე სისხლი. სპარსნი ანუ ოსმალნი მიისყიდიან, მიაბირებენ ქართველ გაელენიან ერისთავებს, ბატონიშვილებს, მეფეებს და მათის შემწეობით სცდილობენ აღისრულონ წადილი. ამიტომაც საქართველო ხან სპარსეთის ხელში გადადის, ხან ოსმალეთისა. ეს ორი სახელმწიფო საქართველოს დასაპყრობად მიიმხრობს ხოლმე არა თუ მარტო საქართველოსავე შვილებს, არამედ ლეკთაც. ლეკებს უგზავნიან დიდძალ ხაზინას, აძლიერებენ და უსევენ საქართველოს. ლეკნიც ჩამოდიან მთიდამ, ეცემიან ხან ერთ-კუთხეს და ხან მეორეს, სწვენ სოფლებს, იკლებენ ხალხს, სტყვენავენ და მიდიან თავიანთ ქვეყანაში. მაგრამ ეს ჭირი კიდევ ცოტაა. თვითონ საქართველოსავე შვილნი: მეფენი, მთავარნი, ერისთავნი და საზოგადოდ, წარჩინებულნი კაცნი ამავე ლეკებს ჯამაგირით იწვევენ მთიდამ და თვის მოძმეთა ჯარს ჰყრილობენ. ხშირად, სულ უბრალო მიზეზისა გამო, საქართველოს რომელიმე შვილი გაბარდება, წავა მთაში, მოიყვანს დიდძალ ჯარს, შემოეპარება თავის მოძმე მტრის სოფელს, თავს დაესხმის მოხერხებულ დროს და ნაცარტუტას ადენინებს. ამ გვარ კაცს ადვილად უსრულდება გულის წადილი, რადგან გზა-კვალი, მისასვლელ-მოსასვლელი ბილიკები მრავალ ჯერ დაქსელილი აქვს, კარგი ბელადია მთისა და ბარისა. ამით აიხსნება ის გარემოება, რომ ლეკების ბელადთა შორის უმეტესი ნაწილი, თითქმის, ქართველისავე ტომისანი იყვნენ.

ამ გვარად რომ აირ-დაირივნენ, ასრე—რომ გონება დაეხშოთ ქართველთ და ავს კარგისაგან ველარ არჩევდნენ, ამასობაში ჩვენი მომხრე ბიზანტიის იმპერიაც დაიმხო. ოსმალთ ბიზანტიის იმპერიის უკანასკნელი ნაშთი-ტრაპიზონის იმპერია, დაარსებული თამარ-დედოფლისაგან, შემუსრეს. ამ სახით ქრისტიან ქართველთ მოესპო უკანასკნელი იმედი შველისა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მაინც არ დაშოშმინდნენ. ძმამ-ძმას ხელი არ გაუწოდა. დიდის იმპერიის დამხობის მაგალითი წინა ჰქონდათ, მაგრამ მაინც მტრობა, შური, ღალატი არ დაივიწყეს და ერთმანეთს ზურგი არ გაუმაგრეს...

ეროვნული ბიბლიოთეკა

დეგ ბ-ნი ტფილისის პოლიციის უფროსი სტატსკი სოვეტნიკი ლ. პ. მასტიცკი, რომელსაც უკან მოსდევდნენ ცხენებით პოლიციის მოხელენი. შემდეგ ყაზახები, რომელნიც საფოსტო ეტლების წინ მოდიოდნენ. პირველ ეტლში იჯდა ტფილისის ელჩი მირზა რიზა-ხანი და მისი ადიუტანტები, მეორეში ბ-ნი ბელიავსკი და სპარსეთის საელჩოს პირველი მდივანი, მის შემდეგ მოდიოდა დახურული ეტლი, რომელშიაც ბრძანდებოდა მის უდიდებულესობა, შავის ფარჩის კაბით და პირ-ბადე ჩამოფარებული ორის ფრეილინითურთ. მის უდიდებულესობის ეტლს მოსდევდა მთელი ამალა კავკასიის მთავარ-მართებლის ყაზახებისა სამის აფიცრით. ყაზახების შემდეგ მოდიოდა შვიდი ეტლი მის უდიდებულესობის ამალათი და მრავალი სხვა ეტლიცა, რომლითაც დილმის მინდორზე მიეგებნენ მის უდიდებულესობას. როდესაც ეტლები სპარსეთის საელჩოს დაუახლოვდა, სამხედრო მუსიკამ სპარსული ჰიმნი დაუკრა. მის უმაღლესობა ჩამოხდა სპარსეთის საელჩოში. დარჩება ტფილისში ორს დღეს. შემდეგ ამიერ-კავკასიის რკინის გზით გაემგზავრება ბაქოს ენზელისკენ თეირანში. მის უდიდებულესობა, როგორც მკითხველს ეხსომება, ვენაში (ავსტრი-ვენგრიაში) იყო, საცა თვალი აუცრეს.

*** სპარსეთის მინისტრი მირზა ასად ულლა ხანი ამ თთვის 27 ამიერ კავკასიის რკინის გზის მატარებლით გაემგზავრა ბაქოს.

*** შაბათს, 26 მაისს, ბათუმის [illegible] მოვიდა გამოჩენილი იტალიელი ტრაგიკოსი როსი თავის დასითურთ. საღამოს ათის საათიდგან ტფილისის სადგურზე აუარებელმა ხალხმა მოიყარა თავი. ხალხში ტფილისის თეატრების არტისტებიც ჩაერივნენ. არტისტებს თავიანთ გამოჩენილ და ნიჭიერ თანამოძმესათვის რამდენიმე თაიგული მოემზადებინათ. მატარებლის მოსვლის დრო მოახლოვდა. ხალხი ბაქანს მიაწყდა და იმოდენა ბაქანი ისე გაივსო, რომ ნემსიც არ ჩავარდებოდა. ბაქანის თავში სამხედრო მუსიკა უკრავდა. აგერ გამოჩნდა მატარებელი *). ხალხი შეიძრა. ყველა წინ იწევს, მომეტებულად ხომ წინ ისინი მიიბრძვიან, ვისაც ყვავილების კონა მოუმზადებიათ. მაინც გულს არ შეაკლდათ. გზა დაუთმეს და, ვაგონიდამ ჩამოვიდა თუ არა როსი, ირგვლივ ვარდის კონები შემოაყარეს. როსი ვაგონის საფეხურზედვე შედგა და, სალამი მისცა ხალხს თუ არა, ხალხმა აყვანილი და ვაშას ძახილით გამოაცილა ეტლამდე.

*** ჩვენ გვთხოვენ გამოვაცხადოთ, რომ თავმჯდომარე „მომავალ დედათა სკოლის" კომიტეტის კნ. მარიამ ვახტანგის ასული ჯამბაკურიან ორბელიანისა უგულითადეს მადლობას უცხადებს კნ. ელისაბედ რევაზის ასულს ვახვახოვისას, კნ. ეკატერინე გულბათის ასულს მაყაშვილისას, თ. სვიმონ ვეზირიშვილს და თელავის საზოგადოებას, რომელთა შემწეობით გაიმართა თელავში 7 თებერვალს ბალი და ხარჯს გადარჩენილი ათი თუმანი ფული მიღებულია თანხად ზემოხსენებულის სკოლისა.

*** ჩვენ გვთხოვენ დავბეჭდოთ შემდეგი: ტფილისში დაარსებულს „ქარ[illegible]" შემოსწირეს: მისმა ყოვლად-უსამღვდელოესობამ იმერეთის ეპისკოპოსმა გაბრიელმა თავისი „ქადაგებანი" რვა ცალი, დარიის მონასტრის წინამძღვარმა არხიმანდრიტმა, კესარიოსმა — ერთი თუმანი, მ. ლეონიდმა — პარაკლიტონი, ქუთაისის წმ. გიორგის ეკკლესიის მღვდელმა მ. ნესტორ ყუბანეიშვილმა „სახელმძღვანელო სამღრთო-სჯულის სასწავლებლად" ორი ცალი, მ. ალექსანდრე მოლოდინოვმა „საქრისტიანო პირველ სასწავლო მოძღვრება" ნიკოლოოზ ტფილელისა ხუთი ცალი და გაზ. „მწყემსის" რედაქტორმა 1887 წ. თვისი გაზეთი. წიგნთ-საკითხავის დამაარსებელი ძმობა უგულითადესს მადლობას უძღვნის შემომწირველთა.

*) შუშხუნები აუშვეს და მთელი სადგური ათასფეროვანის ცეცხლებით გაანათეს.

*** ს. სურები: აქ მეტად მოედო სოფელს წითელა და კიდევ ერთ გვარი ავადმყოფობა, რომელიც ყმაწვილებს უფრო ეტანება. ამ ორივე ავადმყოფობამ დიდი ზარალი მისცა ქვემო სურების ქვემო სკოლას, სადაც მთელი თთვეა 80 შეგირდში 10–20 ძლივს დადის სასწავლებლად.

*** ჩვენ მივიღეთ სვერის საბლაღოჩინოში სამღვდელოთაგან შემოწირული 22 მან. 65 კაპ. განსვენებულის დ. ზ. ბაქრაძის ფონდის სასარგებლოდ:

ბლაღ. მღ. ი. წერეთელი 1 მან., მღ. ლენტორ წერეთელი 1 მ., მღ. სპირიდონ აბულაძე 2 მ., მღ. პარმენ წერეთელი 1 მ., მღ. ნიკოლოოზ წერეთელი 1 მ., მღ. ალექსი კვიჟინაძე 1 მ., მღ. იოსებ ჩაჩანიძე 2 მ., მღ. ეპიფანე გაფრინდაშვილი 1 მ., მღ. ლეონტი ჩაჩანიძე 1 მ., მღ. ანტონ ნოზაძე 1 მ., მღ. სვიმონ წერეთელი 1 მან., მღ. ალექსი ტყემალაძე 1 მ., მღ. დავით კაპანაძე 1 მ., მღ. თომა ჩინჩალაძე 1 მან., გიორგი მაქსიმეს ძე ტყემალაძე 1 მ., მღ. ლუკა ტყემალაძე 1 მ., დიაკვანი ნიკოლოოზ ცუცქირიძე 30 კ., დიაკვანი ილარიონ წერეთელი 5 კ., დიაკვანი გიგო გაფრინდაშვილი 20 კ., დიაკვანი ალფეზ მაჭარაშვილი 20 კ., დიაკვანი ივანე ლვალაძე 20 კ., დიაკვანი ლენტორ ტაბატაძე 20 კ., დიაკვანი ამირან ბარელაძე 20 კ., დიაკვანი მაქსიმე დევიძე 20 კ., დიაკვანი ამირან ჩაჩანიძე 20 კ., დიაკვანი ზურაბა გულაშვილი 20 კაპ., დიაკვანი სენეფონ შელდიძე 20 კ., დიაკვანი ვლასი შელდიძე 20 კ., მნათე ჯიბო კვიჟინაძე 20 კ., დიაკვანი იოსებ ხარაიძე 20 კ., მნათე ხარიტონ ტაბატაძე 20 კ., მნათე გიორგი ხიხაძე 20 კ., დიაკვანი იოსებ ტყემალაძე 20 კ., მნათე ანდრია კაპანაძე 20 კ., დიაკვანი მელიტონ ოყროშიძე 20 კ., მღ. ზაქარია მაჭარაშვილი 20 კ., მღ. ილარიონ მაჭარაშვილი 1 მან. სულ 22 მან. 95 კაპ. ფოსტაში დაიხარჯა 30 კაპ. დარჩა 22 მან. 65 კაპ. დღემდე იყო 687 მ. 7 კ. შესდგა ამიანად 709 მან. 72 კაპ.

*** 1889 წელი ბამბისათვის ფრიად სასარგებლო წელიწადი იყო, ამბობს ტარატინოვი (სამეურნეო ჟურნ. №№ მე-5). მარტო ერევნის გუბერნიაში 1884 წელს მოვიდა 170,000—200,000 ფ. ბამბა, შარშან-კი ამავე გუბერნიას შემოუვიდა 600,000 ფ. მეტი. თვისებითაც ამ წლის ბამბა წინა წლებისაზედ გაცილებით მაღლა იდგა და ფასითაც $1\frac{1}{4}$—2 მან. მეტად ფასობდა. ალაგობრივ ერევნული ბამბა ფუთი ფასობს 6—7 მან., ხოლო ამერიკული 8—$8\frac{1}{2}$ მანათი. დესიატინა სიერცის ადგილი იძლევა 20 ფუთამდე, მაშასადამე 100 მან. შემოსავალს. ქუთაისის გუბერნიაში ისე კეთილად ვერ მიდის ბამბის თესვა-წარმოება, როგორც ერევნისაში, იმიტომ რომ ქუთაისის გუბერნიაში მოჰყავთ sea island-ის ჯიშის ბამბა, რომელიც ნაკლებ ნაყოფიერია, და არა ipland-ი, რომელმაც უხვი მოსავალი იცის. ახლა თუ იმერლებს დესიატინა ადგილზედ მოჰყავთ 12 ფუთი ბამბა, ipland-ი რომ დათესონ, 24—36 ფუთს მოიყვანენ. ამას გარდა ბამბეულის წარმოებას იმერეთში დიდად ხელს უცარავდა ის გარემოება, რომ იქ დიდ ძალი სიმინდი მოჰყავდათ და ძვირადაც ისყიდებოდა, ფუთი 70—80 კ. და ზოგ წლებში მანათადაც, ხოლო ახლა სიმინდის ფასმა დაბლა დაიწია, ისე-რომ ფუთი 35—40 კაპ. ფასობს. იმედია ამას შემდეგ იმერეთშიაც უფრო ბეჯითად ხელს მიჰყოფენ ბამბეულის წარმოებას, რადგან დიდი მერმისი მოელის.

*** მაისის 26 პოლიციის პირველს ნაწილში, გრიბოედოვის ქუჩაზე, წყლის მილისათვის მიწის თხრის დროს ჩამოწვა მიწის კედელი, ქვეშ მოჰყვა სპარსეთის ქვეშევრდომი ქერბალაი-ბაინან-ოღლი და სუბუქად დაშავდა. დამნაშავეს შემწეობა აღმოუჩინეს.

*** ამავე დღეს პოლიციის მესამე ნაწილში იპოვეს 25 მაისს დამრჩვალი სოფ. მარკოს მცხოვრებლის როსტომ-ბადულ მეხრანა ოღლის გვამი და ნათესავებს გადასცეს.

*** მაისის 26 პოლიციის პირველს ნაწილში სტატსკი-სოვეტნიკის კარპინსკის სახლში, სამხედრო მოსამართლის პოლკოვნიკის ლიუბოვსკის სამზარეულოში სიძველისა გამო იატაკი და ჭერი ჩაიქცა და თან დაიტანა ამ დროს სამზარეულოში მყოფი ლიუბოვსკის 16 წლის შვილი პავლე და მზარეული ქალი ეფემია სმელოვსკისა, რომელნიც სუბუქად დაშავდნენ. ოქმი შეადგინეს ამ საქმის გამო და სასამართლოს გადასცეს.

*** ამავე დღეს, ღამით, პოლიციის მეხუთე ნაწილში ტერ-ასატუროვის სახლში ტფილისის მოქალაქე, ავლაბარში მცხოვრები ვასილ სოლომონის მეწოვიანოვი, დანით დასჭრა გულში ტფილისისავე მცხოვრებელმა სოლოლაკელმა

---

ტრაპიზონიდგან ოსმალთ გამოსწიეს საქართველოსკენ. მოადგნენ სწავლითა, ზრდილობითა და დარბაისლობით ძველადგანვე განთქმულ საათაბაგოს. დიდის შოთას სამშობლოს ფრიად გაუჭირდა. მტერმა მოიცვა მთელი არე-მარე ამ კუთხისა. ხალხს სული შეეხუთა. მაგრამ თავისუფლობა ტკბილია. მიუხედავად თავისის სიცოტავისა მტრის ლაშქართან შედარებით, ეს ქვეყანა მთლად ალიჭურვა იარაღით და მტერს წინ დაუდგა. ამასთანავე ითხოვა შველა ქართლ-კახეთიდამ და იმერეთიდამ. მაგრამ სად იყო შველა! ლოდინითა და ცქერით თვალები დაებრიცათ, მშველელი-კი არსად იყო. ვისა სცხელოდა მათთვის. მეფეებს შინაობაშიაც ბევრი აწეწილი საქმე ჰქონდათ: მათნი ქვეშევრდომნი და თვითონაც შინაურ ომსაც ვერ ასდიოდნენ. ასეთს ვაგლახში ჩავარდა საათაბაგო, მაგრამ რაღას იზამდა. ახსენა ღმერთი და შეებრძოლა მტერს. იბრძოლა, თითქმის, მთელი საუკუნე, მაგრამ ბოლოს იძლია. ოსმალეთმა საათაბაგო დაიპყრო 1587 წელს და მონობის უღელი დაადო *). მაგრამ ვერც ამ შემთხვევამ გამოაფხიზლა ქართველნი. კარზე მომდგარ მტრის დასახვედრად არა თუ არ შეერთდნენ, არამედ ამ ერთობის სურვილის თქმაც-კი არავის წამოცდენია პირიდამ.

ამასობაში საქართველოს აღმოსავლეთის მხრიდამაც მოაწევა სულთამხუთავი ჭირი. ვითა ხროვა მგელთა, კახეთს ეფინება სპარსთა და ლეკთა ჯარი. აღმოსავლეთისა და დასავლეთის მხრის მტრები, ერთი—ერთის მხრით და მეორე—მეორეს მხრით,—მანგანასავით უჭერენ საქართველოს. მანგანას უჭერენ ისე მაგრა, რომ რაც მასში მოჰყვება: კაცი, ტაძარ-კოშკი, ციხე ქალაქი და სხ., ყოველი იხრწნება, ილეწება, იმუსრება. ამ ყოფაშიაც ქართველნი კიდევ გონს არ მოდიან. ასე გასინჯეთ, შინაურ მტრობასა და უთანხმოებასაც არ ივიწყებენ. ამასობაში შაჰ-აბასი, შეუთვლის რა ლეკებს: კახეთის აღმოფხვრა განვიზრახე, მოდით, დაეცით ქართველებს ყველგან და მთებში შესასხიზნავად ნუ გაუშვებთო,—აუარებელის ჯარით შემოდის კახეთში, ჰმუსრავს ყოველივეს, ჰკლეტავს 60 ათასამდე კაცს და ასიათასამდესაც აპატიმრებს და დედაბუდიანად სპარსეთში დასასახლებლად ჰგზავნის (1616 წ.). შაჰ-აბასის წინადაც და მის შემდეგაც მრავალი ხალხი ილუპება: ზოგს ჰკლეტენ ადგილობრივ, ზოგს ასახლებენ შორეულს ქვეყნებში. შემდეგ ამისა შაჰ-აბასი მიდის ქართლ-კახეთიდგან. ქართველებს ნებას აძლევს იყოლიონ თავისი მეფე, მაგრამ მხოლოდ იმ პირობით, რომ იგი უსათუოდ გამაჰმადიანებული იყოსო.

უწინ სპარსეთის ყეენებს ეგონათ, რომ საქართველოს დაპყრობა მარტო ხმლითა და ხანჯლითაც ადვილად შეიძლებაო. მაგრამ საუკუნეებმა დაამტკიცეს, რომ ესრეთი იმედები თავს არ მოდის. იგინი დარწმუნდნენ, რომ ქართველი კაცი ომში შეუდარებელი მებრძოლია, რომ საქართველო, თუმცა განაწილებულია, მაგრამ თითოეული ნაწილიც, მიუხედავად შინაურ არეულობათა, მაინც ძლიერია. ამიტომ ბოლოს და ბოლოს ყეენებმა წინანდელი აზრი შესახებ საქართველოს დაპყრობისა შესცვალეს. მამა-პაპათა დატოვებულ ანდერძის — საქართველოს დაპყრობის — შესასრულებელ იარაღად მაჰმადიანობა აღიარეს. იფიქრეს: თუ ქართველებს გავამაჰმადიანებთ, მთელი საქართველო თავის თავად დაპყრობილი იქნებაო. ამის შემდეგ ყეენები ბეჯითად შეუდგნენ თავის აზრის შესრულებას.

უწინარეს ყოვლისა საჭიროდ დაინახეს ქართველ მეფეებისა და დიდკაცობის გამაჰმადიანება. იმიტომაც საქართველოს მეფობას აძლევდნენ და უმტკიცებდნენ მხოლოდ იმისთანა ბატონიშვილებს, რომელნიც წავიდოდნენ სპარსეთში და გამაჰმადიანდებოდნენ. მაგრამ ხშირად ამისთანა მეფენიც გარეგნობით იღებდნენ მაჰმადიანობას, ხოლო გულით ისევ ქრისტიანები იყვნენ და ხშირად უღალატებდნენ ხოლმე ყეენებს. რომ ეს ასრე არ მომხდარიყო, ყეენები მეფეების მემკვიდრეებს ყრმობაშივე წაიყვანდნენ ხოლმე სპარსეთში და იქა ზრდიდნენ თავის რჯულ-წესზე, ბატონიშვილები ივიწყებდნენ თვის სამშობლო ენას, ზნე-ჩვეულებას და ყოვლისფრით სპარსელები ჰხდებოდნენ. აი ამისთანა კაცი, გამეფდებოდა-რა ქართლსა თუ კახეთში, ავსებდა თვის სასახლეს სპარსთა მოხელეებით: ხანებითა, მოლებითა, მოურავებითა და, წარმოიდგინეთ, ყადებითაც-კი. ამ გვარად მთელი ამალა მეფისა, თითქმის მთელი მმართველობა და მთავრობა, მაჰმადიანების ხელში ვარდებოდა. მაშასადამე, ვისაც ჰსურდა ეშოვნა ადგილი ამ მმართველობაში, ვისაც ჰსურდა ყეენი და მეფე მწყალობელნი ჰყოლოდა, უეჭველად უნდა ერწმუნა მაჰმადი...

ამ გვარმა გარემოებამ დიდი ორომტრიალი გააჩინა საქართველოში. მაჰმადიანობა შეეპარათ იმისთანა წარჩინებულ გვარებსაც, როგორნიც არიან: ამილახორები, ქსნისა და არაგვის ერისთავნი, ციციშვილნი, ორბელიანნი და სხ. და სხვანი. ერთსა და იმავე ერში ორ წინააღმდეგ რჯულთა შერევნამ საგრძნობელად შელახა ისეც შელახული და შერყეული ზნეობა ხალხისა და უმეტესად-კი ზნეობა ქვეყნის მმართველთა და მოურნეთა. ამ წოდებაში ძმა ღალატობს ძმას, შვილი აღარ ინდობს მამასა, ნათესავი აღარა სცნობს ნათესავსა და სხ. ბაბილონის გოდლის მაშენებლებივით აირივნენ. ნდობა აღარსად იყო. ბეზღობა, ცილის-წამება გავრცელდა. მეფენი და მთავარნი აღარ უსვენებენ ერთმანეთს. იგინი ბრალიან უბრალოდ გარბიან ისპაჰანს, აბეზღებენ მოძმეებს და სპარსეთის ჯარით მოდიან თვის მტრის შესამუსრავად. ამასთანავე იგინი პირობას აძლევენ ყეენს, რომ მისი ყურ-მოჭრილი ყმები იქნებიან და ეცდებიან მაჰმადიანობა გაავრცელონ დაპყრობილ ქვეყანაში. დასასურათებლად ამ საგნისა, მოიგონეთ ვახტანგის მიერ ძმა, მეფისა, და მამის შეპყრობა, კოსტანტინესაგან მამისა და ძმის დახოცვა, იესეს ღალატი ძმის ვახტანგ მეფისა და მრავალი ამ გვარი უკეთურება. როსტომ მეფიდგან (ხოსრო მირზა) ხომ ქართლ-კახეთის ცხოვრებაში ახალი ხანა იწყება. ამ მეფეს, — სპარსეთში სიყრმიდგანვე აღზრდილს, — მოჰყვა ყოველი წესი და ჩვეულება სპარსული. ყოველი მოხელეობა სპარსულ წესზედ მოეწყო. ხმარებიდამ გავიდა ქართული საკრავები; ბევრად შეიცვალა ზნე-ჩვეულება და სხვ.

ამ სახით, საქართველოს ზნეობრივადა და პოლიტიკურად დაპყრობის წადილი ყეენებისა მკვიდრად ფეხს იდგამდა.

ყველა ამ უბედურებათა გამო ქართლ-კახეთი დასუსტდა. ქართლ-კახეთის მეფენი ყეენების სათამაშო ბურთად გადიქცნენ. ამ ბედ-კრულ მეფეებს ყეენებმა წყალი აღარ დაუწმინდეს. ხან ერთს დასმენ ტახტზე, ხან მეორეს. დღეს ერთს გადააყენებენ, ხვალ მეორეს. ხან ერთს დასთხრიან თვალებს, ხან მეორეს ამოალპობენ საპყრობილეში. ხან ერთს გაიწვევენ ქართველის ჯარით თვის მტრებთან საბრძოლველად, ხან მეორეს... თვით შესანიშნავ მეფე ვახტანგ მე-VI-ის პაპა, მამა და ძმების უმეტესი ნაწილი შეიქმნენ მსხვერპლად ყეენების პოლიტიკისა. ვახტანგმაც, მინამ გამეფდებოდა საქართვე-

*) სამცხე-საათაბაგოს დაპყრობისა და იქაურ მამულიშვილთ თავ-განწირულ ბრძოლის ამბავი ოსმალების წინააღმდეგ, გარდა ქართლის ცხოვრებისა, მოთხრობილია ძველ „მესხურდავითნის ქრონიკა"-ში, რომელიც ამ ჟამად ბ-ნ ექვთიმე თაყაიშვილის რედაქციით იბეჭდება და მალე გამოვა სტამბიდამ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სოსომ, გვარით უცნობმა. დამნაშავეს დაეძებენ.

*** მაისის 26 პოლიციის პირველს ნაწილში, ოლგას ქუჩაზედ, სამხედრო სასამართლოს სადგომის პირდაპირ, იპოვეს სამის კვირის დაბადებული მიგდებული ბავშვი. ბავშვი საბებიო ინსტიტუტში გაჰგზავნეს.

*** მაისის 27, ღამით, კიროჩნის ქუჩაზე, ნაზაროვის სახლის წინ, იპოვნეს ორის კვირის დაბადებული მიგდებული ბავშვი. ეს ბავშვიც საბებიო ინსტიტუტში გაჰგზავნეს.

*** ამავე დღეს, დილის ცხრა საათზე, გაემგზავრა კავკავში უფროსი თავმჯდომარე ტფილისის სასამართლოს პალატისა, უმაღლესის კარის გოფმეისტერი სერგეი სერგეის ძე გონჩაროვი.

*** მერვე ნაწილის პოლიციის ბოქაულმა აღმოაჩინა ქურდი გორის მაზრის სოფ. უგუდმასოფლის მცხოვრებელი გლეხი ვანო ჯოხაძე, რაჭის მაზრის სოფელ სადმელის მცხოვრებელი ეფრემ მურუსიძე და შორაპნის მაზრის სოფ. ბუინევის მცხოვრებელი აზნ. კოსტა აბდუშელიშვილი, რომელთაც 15 მაისს ვერცხლის ნივთეულობა მოჰპარეს ტფილისის მცხოვრებელს შაფრანოვს. ქურდები შეიპყრეს, რომელთაც დანაშაული აღიარეს. ვერცხლის ნივთეულობა გადაედნოთ. დანაკარგის პატრონი ფულით იქმნა დაკმაყოფილებული. დამნაშავენი გამომძიებელს გადასცეს.

◆◆

## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდამ)

გაზ. „Недѣльная Хроника Восхода“-ს მოჰყავს მეტად საყურადღებო აზრი ინგლისის სოციალისტის ინგელსისა ებრაელთა ძულების, ანტისემიტიზმის შესახებ. ეს აზრი ინგელსისა, ვენის სოციალისტებთან გაგზავნილს წერილში გამოთქმული და ავსტრიის გაზეთებში დაბეჭდილი, მეტად საინტერესოა, მით უმეტეს, რომ ამ ჟამად რუსეთის ერთს ნაწილში ძალიან გავრცელებულია ანტისემიტიზმი.

ებრაელთა ძულება, ანტისემიტიზმიო, ნათქვამია ინგელსის წერილში: შესაძლებელია მხოლოდ კულტურით დაქვეითებულს ქვეყანაში, მაგალითებრ რუმინიაში, და ან სხვა ქვეყნების იმ მკვიდრთა შორის, რომელიც გაუნათლებელია და ცუდად მოაზრე. ინგლისსა და ამერიკაში ებრაელთა მოძულეთ სასაცილოდ იგდებენ ხოლმე. საფრანგეთში დრიუმონი, რომელიც თავის გერმანელ თანამოაზრეებზედ ერთი ათად უკეთესად სწერს, არავის მოსწონს. პრუსიაში ებრაელები სძულთ აზნაურებსა და იუნკრებსა, რომელთაც 5,000 მან. შემოსავალი აქვთ, ერთი ორად ნაკლები ხარჯზედ. შეცდარნი არიან ყველა ისინი, რომელთაც ჰგონიათ, რომ ებრაელებს დიდ-ძალი ფულები აქვთ ხელშიო. ამერიკაში, სადაც იმდენი შეძლებული და მილიონების პატრონი ხალხია, ერთს ებრაელს ვერ მოსძებნით, რომ მილიონი ჰქონდეს. ცნობილი როტშილდი მაგდენად შეძლებულად არ ჩაითვლება, არამც თუ ამერიკელ მილიონის პატრონებს რომ ამოუყენოთ გვერდში, ინგლისის ჰერცოგ ვესტმინისტერელთან შედარებითაც-კი. ებრაელთა მოძულეობა ნაყოფია საშუალ-საუკუნოების წესსა და რიგს მიმყოლ წოდებისა, იმ წოდებისა, რომელიც ჩქარა აღიგვება პირისა ამ ქვეყნისაგან. ისინი ამით ვითომდა იბრძვიან აწინდელ საზოგადოების წინააღმდეგ, იმ საზოგადოებისა, რომელიც შეძლებულთა და მუშათაგან შესდგება. ანტისემიტიზმი სრულიად არ ეშესაბამება საუკეთესო მიმართულების პროგრამას. ესეც რომ არ იყოს, ებრაელთა მოძულენი სულ არ იცნობენ ებრაელობას, და ებრაელებს, რომ იცნობდნენ, ისიც ეცოდინებოდათ, რომ ინგლისსა, ამერიკასა, ოსმალეთში და ყველგან, სადაც-კი გნებავთ, ათასობით და ათი ათასობით იპოვება ულუკმა-პურო ებრაელი და რომ ებრაელ მუშა-კაცებს უფრო უდიერად ეკიდებიან, ვიდრე სხვა სარწმუნოებისას. ინგლისს თორმეტის თვის განმავლობაში სამჯერ აღკვეთეს მუშაობა ებრაელმა მუშებმა. განა ამას შემდეგ სამართალია, ანტისემიტიზმისა და ანტიკაპიტალიზმის ერთმანეთთან შედარებაო?!

კითხულობს ინგელსი და, რასა თქმა უნდა, ყოველის გონიერის ადამიანის პასუხი ის იქნება, რომ დიდი და დიდი უსამართლობააო.

◆◆

## დეპეშა

26 მაისი

პეტერბურგი. გრენადერთა ფანაგორიელ პოლკს გენერალისიმუსის სუვოროვისას ხელმწიფე იმპერატორმა ტახტისა და სამშობლოს ერთგულებისათვის უბოძა ახალი წმ. გიორგის დროშა, შემდეგის ზედ წარწერით: „1790—1890“, ძველ წარწერათა გამოუკლებლად, და საიუბილეო ლენტი. უმცროს ჯარის კაცებს ებოძა თითო მანათი.

დღეს, დილის $11\frac{1}{2}$ საათზე, პრინცი ნეაპოლელი წავიდა გატჩინოში, სადაც, საგვარეულო საუზმის შემდეგ, ნაშუადღევის $2\frac{1}{2}$ სათზე, გამოეთხოვა მათს უდიდებულესობათა და გაემგზავრა პირდაპირ ბერლინს.

გამოვიდა ბრძანება, რომ სამხედრო მინისტრის ავადმყოფობის გამო, დროებით, იმის თანამდებობას უმთავრესის შტაბის უფროსი აასრულებსო.

„Нов. Вр.“-ას გაუგონია, რომ საგაისოდ კლასიკურ გიმნაზიის კურსის შესრულების მოწმობის მიღების ეგზამენები უნდა შეიცვალოსო. ყოველ საგანში ზეპირი გამოცდა უნდათ დააწესონო.

ასის წლის იუბილეის გამო ადესას ნება მოუვიდა, გამართოს სამხატვრო და სამრეწველო გამოფენა მთელის რუსეთისა.

„Гражд.“-ი იუწყება, რომ მთავრობამ აკრძალა კერძო თეატრებში გრ. ტოლსტოის კომედიის: „Плоды просвѣщенія“-ს წარმოდგენაო.

„Новости“ ამბობს, რომ თევზების აგებულებისა და ცხოვრების გამოსაკვლევად უნდათ დააარსონ რამდენიმე სამეცნიერო სადგური და ერთიც ცენტრალური, სადაც თევზის ვაჭრებს ნება ექმნებათ მიჰმართონ ხოლმე თევზის ჭერის საქმის უკეთ მოსაწყობლადაო.

ს.-პეტერბურგის ბირჟა: ტფილისის სადგილ-მამულო ბანკის გირავნობის ფურცლებში იძლევიან 99 მ, 37 კ., ქუთაისისაში $99\frac{1}{4}$ მან., ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოების ობლიგაციებში $86\frac{1}{2}$ მან.

ასხაბადი. ინჟინერმა პოკლევსკი-კოზელლომ, სულთან-ბეგის საგუბრის გამკეთებელმა, მერვის ოაზისის მოსარწყავად, ახალი პროექტი შეიტანა. ამ პროექტით, მთებში უნდა გააკეთონ არხები, იმ ადგილების გასწვრივ, სასადაც წყალი დგას, და მერე იქიდგან შეუერთონ წყალი პატარა მდ. ასხაბადკას. პროექტის შესრულებას ერთი მილიონი მანათი მოუნდება.

კურსკი. ჭვავი აყვავდა. ანეული და ბალახი კარგია.

27 მაისი

პეტერბურგი. გუშინ გატჩინოში იყო საგვარეულო საუზმე, რომელზედაც დაესწრო პრინცი ნეაპოლელი, მისი ამალა და იტალიის ელჩი. შემდეგ ხელმწიფე იმპერატორმა და დიდმა მთავრებმა გააცილეს პრინცი რკინის გზის სადგურამდის, სადაც მისის უდიდებულესობის ხელმწიფე იმპერატრიცის ბეგთაროსანთა რაზმის ჯარის-კაცების ყარაული იდგა დროშითა და მუსიკით. $2\frac{1}{2}$ საათზედ პრინცი გაემგზავრა ბერლინს.

გუშინ მათნი იმპერატორებითნი უდიდებულესობანი გატჩინოდგან გადავიდნენ პეტერგოფს, ალექსანდრიის აგარაკში.

სახელმწიფო რჩევის კანონთა დეპარტამენტის სტატს-სეკრეტარი კრასოვსკი იუსტიციის სამინისტროს პირველ დეპარტამენტის დირექტორად იქმნა დანიშნული.

ხელმწიფე იმპერატორმა უბოძა ასისთავს პეშკოვს მესამე ხარისხის წმ. ანნას ორდენი.

წარდგენილ იქმნა განსახილველად საკარანტინო დაწესებულებათა მოსაპობის პროექტი ადესასა და კერჩში.

სამხედრო მინისტრი ცოტა უკეთ არის და გუშინ ერთის საქმის მოსმენა უკვე შეიძლო.

„Граж.“ იუწყება, რომ შეწყნარებულ არ იქმნა ის პროექტი, რომ მთავრობის დაწესებულებათაც ფოსტით ქაღალდების გზავნაში ფული უნდა გადახდესო.

ლოში, ბევრი უბედურება იწვნია სპარსეთში და ბოლოს მეფობა იმიტომ ერგო, რომ გამაჰმადიანდა. მაგრამ უკანასკნელ ჟამს მაინც სპარსეთისავე პოლიტიკამ ბოლო მოუღო მის მეფობას, 1719 წელს გამეფებული ვახტანგი 1724 წელს იძულებული შეიქმნა ტახტი დაეთმო გამაჰმადიანებულ კოსტანტინესა და თვის გამაჰმადიანებულ ძმის მუსტაფა ფაშისათვის (იესე) და წასულიყო რუსეთს.

ეს იყო საშინელი შავ-უკუღმა დრო. ქართლ-კახეთის აღსასრულის ჟამს მიაგვანდა ეს შავი და ბნელი დრო. ოსმალთ ამ დროს დაიპყრეს არა თუ მარტო ქართლი, არამედ თვით კახეთიც. კახეთის მეფე კოსტანტინე ბექან ბაღში მოჰკლა ოსმალეთის ფაშამ. იესე მეფე (მუსტაფა ფაშა) განიელტო. ქართლი განაწილებულ იქმნა. სომხითი და საბარათიანო ფაშამ ჩააბარა ერასტ ყაფლანიშვილს, მცხეთიდგან გორამდის ბაგრატ ციციშვილს, გორს იქით ლიხამდის გივ ამილახვარს, მუხრანი, ქსნისა და არაგვის ხეობანი წინანდელთავე მეპატრონეთ მისცა. შემდეგ ხალხს შეაწერეს დიდი ხარჯი და დაადეს მძიმე ბეგარა. თავად-აზნაურობა, სამღვდელოება და მდაბიონი დააწიოკეს. ხალხის უმეტესი ნაწილი ტყე-ღრეში გაიხიზნა. კახეთი ამ დროს თითქმის მთლად ლეკებს დარჩათ.

ძველი ელისენი (აწინდელი საინგილო) და გაღმა-მხარი (ჭიაური) ლეკებს უკვე დაპყრობილი ჰქონდათ. საქართველოს ერთობის დროს გაღმამხარი და ელისენი სამ საერისთოდ იყო გაყოფილი. ელისენ-წუქეთის (წუქეთი შემდეგ შეიქმნა ცალკე სასულთნოდ და ეწოდა სასულთნო ელისუსი (ელისენისა); ეპისკოპოსი იჯდა გიშში (გიში დღეს ნუხის უბანთაგანია) და მას ემორჩილებოდა შაკიხიცა (დღევანდელი ნუხისა და აღდაშის მაზრები). ამ ელისენ-წუქეთის თავს, მთებში იყო საერისთო ხუნძახისა და ყველა ეს საერისთონი შეადგენდნენ ნეკრესელის სადროშოს. მცხეთის სვეტი-ცხოველს აქ ჰქონდა თვისი მამულები: ბაზარს, ზარს (ზარნა), წინუბანს (წილბანი), ლაგოდეხს, კაკს, განუხს და სხ. მე-XV საუკუნეში კახეთის მეფემ დაითმა ერისთაობა მოსპო და მათ მაგიერ დაადგინა მოურაევები ჭიაურს, წუქეთს და ელისენს. ამ დროს ლეკები ძლიერ სუსტნი იყვნენ. მათ ხარკად ედოთ ზაფხულობით ყინულის მორთმევა მეფეთათვის. მაგრამ მას აქეთ, როგორც უკვე ვსთქვით, იგინი ნელ-ნელა გაძლიერდნენ და შაჰაბაზის შემდეგ-კი ფრიად საშიშარნი შეიქმნენ. შაჰაბაზმა რომ გაღმა მხრისა, ელისენ-წუქეთისა და შაკიხის მკვიდრნი გადაასახლა სპარსეთში, ლეკები ჩამოვიდნენ მთიდგან და დასახლდნენ უპატრონოდ დარჩომილ ქვეყანაში. ლეკების უმთავრეს ცენტრად შეიქმნა ჭარი (ძველი ფიფინეთი), ბელაქანი, კატეხ-მაწეხი, გულლუგი (ვარდოვანი) და სხ. ამ ადგილებში დამკვიდრების შემდეგ დაღისტნელებმა მოსვენება აღარ მისცეს კახეთს. იგინი უშიშრად შემოდიოდნენ კახეთში და აოხრებდნენ ქვეყანას, მათ ესარჩლებოდნენ თვით ყეენები. ვახუშტი ამბობს, რომ თუ მაჰმადიანი ჰკლავდა ქრისტიანს, ყეენები არა სჯიდნენ მკვლელებს, ხოლო თუ ქრისტიანი მოჰკლავდა მაჰმადიანს, მკვლელს თავს გააგდებინებდნენ ხოლმეო. ყველა ამის გამო ლეკნი მოედვნენ მთელს ქართლ-კახეთს. ლეკების დასტები თვით ზემო იმერეთ-რაჭასაც ხშირად დაეცემოდნენ ხოლმე. ლეკებმა თავ-ზარი დასცეს ჩვენს ქვეყანას. თუ რა საშიშარნი შეიქმნენ ლეკნი საქართველოსთვის, ამას გვიმოწმებს შემდეგი წერილი, რომელიც ზოგიერთებმა კახეთიდამ მისწერეს ადირბეჟანის ბეგლარ-ბეგს და შემდეგ მეფე ვახტანგს (შაჰნაოზს). იგინი სწერენ: „ლეკნი დღითი დღე ძლიერდებიან. ძალი ემატებათ დაღისტნიდგან. დღემდის ჩვენ გვებრძოდნენ მხოლოდ ჭარელნი, თალელნი, ხოლო ახლა ამათ მოემატნენ მთის იქითელნი ბურხადალნი. ყველა ამათი დედა ბუდე არის ჭარ-ბელაქანი. დღეს ლეკის ჯარი გავაზში დგას. მათ მიიმხრეს გავაზელნი და გაღმა მხრელნი. ლეკების შთაგონებით დღეს ჩვენებიც ჩვენსავე წინააღმდეგ მოქმედებენ, თუ შველა არ აღმოგვიჩინეთ, დანაშთენი ნაწილი კახეთისაც გადაგვიდგება და მაშინ აღარც ადირბეჟანსა და აღარც დანარჩენ ქვეყნებს მოსვენება აღარ ექმნებაო“.

ამაოდ დრტვინავდნენ ქვეყნისთვის თითო-ოროლა გულ-შემატკივარნი. მათის მუდარების შემსმენელი არსად იყო, ან თუ იყო, მტრის მუხრუჯს თავს ვერ აღწევდა, რომ მოძმეთათვის მწეობა გაეწია. ამ დროს არა თუ კაცთა, არამედ, თითქოს, ღმერთსაც დაევიწყებინა საქართველო. ღვთისმშობელი მარიამიც აღარ ისმენდა თვის წილხდომილ ქვეყნის მწყემსთა გულ-მხურვალე ვედრებას. ამიტომაც ეკკლესიის მსახურნი ოხვრით ღაღადებდნენ: ყოვლითვე ეს ჭირი ჩვენის ცოდვებისაგან მოგვევლინაო. ამ გვარ ბედკრულ დროს საქართველოს თავს-დაატყდა კიდევ ზემორე მოხსენებული უბედურებანი: მთელის ქართლ-კახეთის ოსმალთაგან დაჭერა, ვახტანგის რუსეთში გაქცევა, კახეთის მეფის იმამყულიხანის მოკვლა (1733), ქართულის სამოურავოებად განაწილება და კახეთში ლეკების ჩამოსახლება. მარტო ფშავ-ხევსურეთი-ღა იყო თავისუფალი კუთხე და აქ იმალებოდა ოსმალთაგან ბექან-ბაღში მოკლულ კახეთის მეფის იმამ-ყულახანის ძმა თეიმურაზი, მამა ერეკლესი.

ყიზილბაშნი ფრიად შეწუხდნენ საქმის ამ გვარად დარტიალების გამო. ქართლ-კახეთში ოსმალთა გაბატონება მათთავის შერცხვენად მიიჩნიეს, რადგან ამ ქვეყანას თვისად ჰხადიდნენ. წინადვე ოსმალთა და სპარსელთ მთელი საქართველო თვის შორის ასე გაენაწილებინათ. ოსმალოსა უნდა ყოფილიყო მთელი იმერეთი და საათაბაგო, ხოლო სპარსეთისა ქართლ-კახეთი. ახლა ოსმალთ ეს უკანასკნელი სამეფოებიც დაიპყრეს. აი მიზეზი, რომლისა გამო შაჰთამაზი გაოხრებულ ქვეყანას მოექომაგა. კახელებმა ფშავიდამ ჩამოიყვანეს თეიმურაზი და თვის პატრონად აღიარეს (1733). თეიმურაზმა შეჰკრიბა კახეთის ჯარი, თავს დაესხა მაღაროში დაბანაკებულ ოსმალთა ჯარს და დაამარცხა საშინლად. უსუფ-ფაშა, შერცხვენილი, გაიქცა ტფილისს. ამ დროს მეფის ძე ერეკლე 15 წლისა იყო. და ამ ჟამიდგანვე ეს მცირე წლოვანი ყრმა მხარში ამოუდგა თვის მამას და ქვეყნის სამსახური იტვირთა. მისმა ძლიერებამ, მისმა დაულალავმა მკლავმა პირქვე დაამხო საქართველოს მტერნი და ქართველებს კვლავ აღუდგინა სახელი და პატივი. არა თუ მარტო კავკასიაში, არამედ შორეულ ქვეყნებშიაც სასახელო შეიქმნა ერეკლესებური ვაჟკაცობა, ერეკლესებური სარდლობა. თვით ქართველ ახალგაზდობისათვის-კი იგი შეიქმნა მაგალითად რაინდობისა, დიდებისა. ერეკლემ არა ერთ ქართველს შთაჰბერა ძალი თვისებურ სიმხნევე-ვაჟკაცობისა, რაინდობისა. ამიტომაც იგი ქართველმა დასახა უძლეველ გმირად და დაადარა მთელს კახეთს, მიიჩნია ამ სამეფოს უმცროს ძმად და აღიარა პატარა კახად. ტყუილად-კი არ ამბობს ერეკლეს მიერ აღტაცებული პოეტი:

აჰა ივერიის ნუგეშ-დიდება,
თვისის დროისა გამშვენებელი,
მამაცთა შორის საკვირველება,
პატარა კახი, მეფე ერეკლე!
წარბ-შეჭმუხვნილი, ხმალ-ხელ მოწვდენით
ვაი მას მტერსა, სად აღჩნდებოდა!

ალატირი. ანეულები ყვითლდება; ჭვავი არ იზრდება; ბალახი არ ვარგა. ხვალ პარაკლისი იქნება გადახდილი.

მოსკოვი. მოსკოვის ოლქის სამოსამართლო პალატის ნაფიც-ვექილთა საბჭომ, თავის მეირვე ახალ გამოცემულ წესისამებრ თანაშემწეების შესახებ, გუშინ 102 თანაშემწე გამორიცხა, ე. ი. თითქმის ნახევარი თანაშემწეების რიცხვისა. მოშეტებული ნაწილი იმიტომ იქმნა გამორიცხული, რომ სასამართლოებიდგან არა ჰქონდათ მიცემული მოწმობა საქმეთა დაცვისა, და უმცირესი ნაწილი, იმიტომ-რომ ახლანდელის წესდების ძალით ნაფიცს ვექილებს აღკრძალული აქვთ ერთს თანაშემწეზე მეტი იყოლიონ, თუ განსაკუთრებული განკარგულება არ მოხდა ამის შესახებ. სხვათა შორის ერთიან გამორიცხულ იქმნენ თანაშემწეები პლევაკოსი, პრჟევალსკისა, შაიკევიჩი 1-სა და ტროსტიანსკისა, რომელნიც არ დაემორჩილნენ ახალს წესდებას და არ აცნობეს საბჭოს, რომელი თანაშემწე ჰსურდათ დაეტოვებინათ.

ბუდაპეშტი. დღეს იმპერატორმა მიიღო ავსტრიის დელეგაცია და წარმოსთქვა სეფე-სიტყა: „საზოგადო პოლიტიკურ მდგომარეობაში და კერძოდ ბალკანეთის საქმეში არავითარი ცვლილება არ მომხდარა შარშანდლიდგან. მეგობრული დამოკიდებულება ჩვენსა და ყველა სხვა სახელმწიფოს შორის მაიმედებს, რომ მშვიდობიანობა არ დაირღვევაო“.

პეტერბურგის ბირჟა, 25 მაისი.

| | მყიდველნი. | გამყიდველნი. | გაყიდულია. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანეთიანი ოქრო | — „ | „ | 6 88 |
| ტამოჟნის კუპონები | — „ | „ | 138¼ |
| მანეთიანი ვერცხლის ფული | — „ | — „ | 1, 08½ |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მოგები ბილეთი | — „ | — „ | 231¼ |
| —მეორისა | — „ | — „ | 213¾ |
| —მესამისა | 212 | — „ | 211½ |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა | — „ | — „ | — „ |
| ქუთაისის ბანკისა | — „ | — „ | — „ |
| ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა | — „ | — „ | — „ |

მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზე

ბათუმიდამ გადის: ხუთშაბათობით ნაშუადღევის 4 საათზედ მოკლე გზით და ნოვოროსიისკსა და კერჩში შეივლის.

შაბათობით საღამოს 8 საათზე შორის გზით (ყველა ნავთ-სადგურებში შეივლის).

კვირაობით საღამოთი, საზღვარ-გარეთ, სტამბოლამდე მიდის.

ბათუმში მოდის ოდესიდამ: სამშაბათობით შუა-დამისას შორის გზით.

პარასკევობით დილით ოდესიდამ მოკლეს გზით (კერჩსა და ნოვოროსიისკში შესვლით).

შაბათობით დილით სტამბოლიდამ.

ფოთიდამ ბათუმში მოდის: სამშაბათობით—იმის შემდეგ, როცა სოხუმიდამ მოდის გემი შორის გზით. ხუთშაბათობით—დილის 9 საათზე და მიასწრობს მოკლეს გზით მოსიარულე კავკასიისა და ყირიმის გემსა.

შაბათობით დილის 9 საათზე და მიასწრობს შორის გზით მოსიარულე კავკასია-ყირიმისა და რუმელია-ანატოლისკენ წამსვლელს გემებს.

ბათუმიდამ ფოთს მიდის პარასკევობითა და კვირაობით. რაკი გემი მოვა ფოთიდამ, ბათუმის სააგენტო გადასწყვეტს ხოლმე, როდის წავა უკან.

ამას გარდა ყოველ-კვირა ფოთში მოდიან ოდესიდამ და ყირიმ-კავკასიის ნავთ-სადგურიდან გადაწყვეტილს ვადაზე გემები.

# განცხადებანი

საკოსმეტიკო სპერმაცევტული პირის

საწმენდავები

კოსმეტიკა ა. ენგლუნდისა

სპერმაცევტულ პირის საწმენდავების ხმარების წყალობით სახის კანი სუფთავდება და ნაზდება. ძალიან კარგია გზაში, სადაც სახეს ჭუჭყი და ქარი ხშირადა ჰხვდება. ზამთარში ეს წამალი სახეს სიცივის დახეთქვისაგან ინახავს, კანს ასუფთავებს და სხ. ამ წამლის ყოველთვის თან ტარება ადვილად მოსახერხებელია. თითო შეკვრა ღირს 60 კაპ.; გაგზავნით ორი შეკვრა 2 მან.; 4 შეკვრა გაგზავნით 3 მან.

სიყალბის ასაცილებლად ვთხოვთ მხმარებელთ, რომ ყოველს შეკვრაზედ მოიკითხონ ხელ-მოწერილი ა. ენგლუნდი წითელის მელნით და მარკა სპბ. საკოსმეტიკო ლაბორატორიისა. უმთავრესი საწყობი იმყოფება: ს.-პეტერბურგს, ს.-პეტერბურგის საკოსმეტიკო ლაბორატორიაში, ა. ენგლუნდთან, ლიტეინი, 38. (5—1)

სიჭაბუკის ცოდვა

ფრიად კარგი და გამოსაყენებელი წიგნია იმათთვის, ვინც დასნეულებული და დაავადებულია ონანიზმითა და თავ-აშვებულის ცხოვრებით.

თხზ. დ—რის ლორენცისა.

რუსულად გამოცემული დ—რ გ—ლის მიერ.

ფასი ერთი მანათი.

ამ სასარგებლო წიგნში ბევრი საშუალებაა დასახელებული ზემოხსენებულ მანკის შედეგის ასაცილებლად და დასნეულებულის ჯანისა და ღონის დონეზე დასაყენებლად.

წიგნი ნება-დართულია მოსკოვის საცენზურო კომიტეტის მიერ.

საწყობი იმყოფება ოტტო ასპერგერთან ლეიპციგს—Otto Asperger Leipzig (საქსონიას). უცხო-ქვეყნელნი წიგნის გაგზავნის ფასს იხდიან. (40—5)

გამოვიდა და ისყიდება

გოლოვინის პროსპექტზე, როტინოვის სახლებში, ზ. ჭიჭინაძის წიგნის მაღაზიაში და წერა-კითხვის სამართველოში

უცხოეთის მწერლები

პრუდონი

გამოცემული

გიგო თოიძისაგან

ფასი 20 კაპეიკი

(3—2)

გამოვიდა და ისყიდება

მხოლოდ „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ წიგნის მაღაზიაში ახალი წიგნი:

ისტორია მართლ-მადიდებელ ეკკლესიისა,

შედგენილი

მოსე ჯანაშვილის მიერ.

ფასი წიგნისა 40 კაპ.

ჩვენ წავართვით ძმათა პეტროკოკინოს ოდესის ფირმას იმის უფლება, რომ ვყიდოთ ჩვენი.

საზოგადო წასასმელი

ლითონთა საწმენდავად

საუკეთესო ღონისძიება

მთელის ქვეყნის მიროზედ!

წავართვით იმ მიზეზით, რომ იგი საქვეყნოდ აღიარებულ ჩვენის ლითონთა საუკეთესო წასასმელის მაგიერ ყალბს წასასმელსა ჰყიდის, ჩვენის ფაბრიკის ყუთის მსგავსს ყუთში გაკეთებულს.

—შემოქმედთ ვთხოვთ პირდაპირ ჩვენ შემოგვიკვეთონ.




მყიდველებსა ვთხოვთ ყურადღება მიაქციონ აქ დაბეჭდილს სურათს ჩვენის ფაბრიკის მარკისას. ეს სურათი ლითონის წასასმელის ყველა კოლოფზეა. თუ კოლოფს ასეთი სურათი არა აქვს და მხოლოდ ამისი მსგავსია, ყალბი იქნება. (26—26)

გენერალი დიმიტრი გიორგის ძე თაგ. ვეზიროვი რკინის გზის ახლო სტ. მიხაილოვსა და სოფელს ოსიაურში ჰყიდის ორი ათასს ფუთს სიმინდსა და ოთხი ათას ფუთს პურსა. მსურველს შეუძლიან მობრძანდეს და ფასზე მოვურიგდებით. (5—4)

გამოვიდა და ისყიდება

მხოლოდ „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ წიგნის მაღაზიაში ახალი წიგნი:

გორკილი

დრამა ოთხს მოქმედებად

თხზულება

ა. ი. სუმბათაშვილისა

თარგმანი ა. მ. ახნაზაროვისა

დრამას წინ უძღვის მთარგმნელის წინასიტყვაობა, რომელშიაც მოთავსებულია ბიბლიოგრაფია თ. სუმბათაშვილის პიესებს შესახებ, და მოთხრობილია ავტორის მცირე ბიოგრაფია.

ფასი 40 კაპ.

„წერა-კითხვის“ წიგნის მაღაზიამ შეიძინა

ჟურნალ „ნობათი“-ს

ყველა ნომერი, გარდა სანიმუშოსი, რომელიც სრულებით აღარ მოიპოვება გასასყიდად. ყველა ნომერი ერთად, რიცხვით ათი წიგნი, ზედ დამატებით ცალკე წიგნად დაბეჭდილ წიგნისა «ლომკაცი»,—სულ თერთმეტი წიგნი ღირს

2 მან.

ვინც ტფილისს გარეშე დაიბარებს, გასაგზავნი ხარჯი მყიდველმა უნდა იკისროს.

გამოვიდა და ისყიდება

მხოლოდ „წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში“

პატარა კახი

ისტორიული ხუთ მოქმედებიანი დრამა ლექსად

აკაკისა

ფასი 50 კაპ.

ქართველთა ამხანაგობა წიგნების გამოცემისა

1890 წელს მარტის 17 თანახმად რუსეთის კანონდებულების მე-XI ტომის II ნაწ. 65, 67, 68, 76, 79, 81, 83 და 84 მუხლთა, დაარსდა „ქართველთა ამხანაგობა წიგნების გამოცემისა“ პირობა ამხანაგობისა უკვე დამტკიცებულია, საწევრო თანხა (პაი) ღირს 50 მან. და შეიძლება მისი შემოტანა განაწილებით. წევრი მიიღების, თანახმად ამხანაგობის პირობისა, კენჭისყრით, ამხანაგობამ შეიძინა წიგნის მაღაზია გრ. ჩარკვიანისა და რ. ფანცხავასი. მსურველთ შეუძლიანთ ამხანაგობის პირობა ნახონ წიგნის მაღაზიაში, ან ქალაქ გარეშე მცხოვრებთ დაიბარონ თავიანთ ხარჯით. ამხანაგობა არავითარ მიწერ-მოწერას არა კისრულობს, თუ საპასუხოდ ფოსტის მარკები არ მიიღო. ამასთანავე ამხანაგობა აცხადებს, რომ წიგნები ისყიდება ნაღდ ფულზე და ქალაქ გარეშე მცხოვრებთ ეგზავნებათ მყიდველის ხარჯით. მსურველთ შეუძლიანთ თავიანთი გამოცემები მიანდონ ამხანაგობას მაღაზიაში გასაყიდად. საკომისიო მიღებულ წიგნებში ამხანაგობა გამომცემელთ აძლევს კვიტანციას. გაყიდულ გამოცემის ფული მსურველთ აუცილებლად ეძლევათ თხოვნის მეორე დღეს. ვისაც რამე ნაწერები აქვს გამოსაცემი და სურს გარდასცეს ამხანაგობას,—ვთხოვთ მიჰმართოს ამხანაგობის გამგეობას. მიღებული ნაწერები გარდაეცემა განსახილველად სარედაქციო კომისიას, რომლის მიერ მოწონებულ ნაწერებს დაბეჭდავს ამხანაგობა და გამოაცხადებს გაზეთ „ივერიაში“. ამასთანავე ამხანაგობა კისრულობს ნაწერების დაბეჭდვას გამომცემლის ხარჯით, ხოლო შრომის ფასად იღებს რედაქციისა და კორრექტურისათვის გამოცემაზე დახარჯულ ფულიდგან 15%.

ადრესი ქალაქ გარეთ მცხოვრებთათვის: Тифлисъ, правленію „Грузинскаго Издательскаго Товарищества“, Лорисъ-Меликовская ул., д. Зубалова, грузинскій книжн. магазинъ. (7—5)

კბილი ალარავის წამოსტკივდება

თუ იხმარებენ

ღირსთა მამათა ბენედიქტელთ გამოგონილს ელიქსირს

სულიაკის სააბატოში (GIRONDE)

ეს ელიქსირი გამოგონილია 1373 წ. პრიორის პეტრე ბურსოს მიერ




და ოქროს მენდლებით დაჯილდოებული

ბრიუსელში 1880 წ. და ლონდონში 1884 წ.

ყოველ დღე ამ ელიქსირის ხმარებით ადამიანს კბილები გნახვება გაფუჭებისაგან, უთეთრდება, ღრძილები უმაგრდება და პირში საუცხოვო გემო ეძლევა.

ჩვენ მართლაც-და სამსახურს ვუწევთ ჩვენს მკითხველებს, თუ იმის ყურადღებას ამ სასარგებლო წამალზედ მივაქცევთ, კბილის ტკივილის ამ საუკეთესო საშუალებაზედ.

ამ ელიქსირს გარდა, მამა ბენედიქტელნი ამზადებენ აგრეთვე კბილის საწმენდს ფხვნილსა.

ეს წამლები და აგრეთვე ელიქსირი ყველა დიდს აფთიაქსა და საათიაქო და საპარფიუმერო მაღაზიაში შეუძლიან მსურველმა იყიდოს.

უმთავრესი აგენტი: Jeguin, Bordeaux, rue Croix de Jeguey. № 106. (208—15)

ტფილისში ქალაქის შუაგულ, გოლოვინის პროსპექტზე, ბანკირის ჩითახოვის სახლში, კრუჟოკის გვერდზე, გავმართე მდიდრულად მორთული ნომრები:

„დ ა ნ ი ა“

ყოველ მხრით მოხერხებული. ფასი თითო ოთახისა 60 კაპ. დაწყებული 5 მანათამდე დღე და ღამეში.

თთვეობით ბევრად ნაკლებ შეიძლება.

სურველთათვის საბანებელი ვანაც არის: ცივისა და თბილის წყლისა.

კანტორა თავს იდებს, რომ მოსამსახურე ქალნი და კაცნი თავაზიანი და პატივისცემით მოექცევიან მდგმურთ.

საჭმელ-სასმელი გემრიელია, შინაური, სუფთად გაკეთებული.

სადილი ორ-ფერი საჭმელი—55 კ. }
— სამ-ფერი საჭმელი—75 კ. } მსურველთ ფინჯანი ყავა.

გვყავს საკუთარი მოსარეცხე და იფრინდა აქეთ-იქით გასაგზავნად.

(30—22) ნომრების პატრონი პეტრე საყვარელიძე

კოკორი

ანუ ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი, იაკობ გოგებაშვილის შედგენილი, მეათე შეცვლილი გამოცემა.

დაიბეჭდა „წერა-კითხვის საზოგადოების მიერ“ და ისყიდება ამ საზოგადოების წიგნის მაღაზიაში ტფილისში, სასახლის ქუჩაზედ, ბანკის ქარვასლაში. ფასი 10 კაპ.

ვინც ერთბაშად იყიდის არა ნაკლებ ათის ცალისა, წიგნი დაუთმობა ცხრა კაპეიკად, ვინც იყიდის ასს, ან მეტს ეგზემპლიარს, წიგნი მიეცემა რვა კაპეიკად.

ტფილისს გარეშე მყიდველთ უნდა მიჰმართონ წიგნის მაღაზიას ამ ადრესით: Въ Тифлисъ. Дворцовая улица, Карванъ-Сарай Земельнаго банка, № 102.

Доз. ценз. Тифлисъ, 28-го Мая 1890 г. Типо-Литографія К. І. Месхіева и С. А. Полетаева уголъ Баронской и Лорисъ-Мелик. д. бр. Месхіевыхъ რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე